ქეთევან წამებულის გამზ. №27
სასტუმრო "ძველი თბილისი"

24. 12.

2004 წ.

1. სასტუმრო "ძველი თბილისი" თბილისის ისტორიული მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ზოლში მდებარეობს.
2. თავად შენობას არ აქვს ისტორიული ღირებულება. იგი აგებულია 1990-იან წლებში მტკვრის მარცხენა სანაპიროს შვეულ კლდოვან ნაპირზე გადმოკიდებული სახლების მწკრივში. ის თბილისის უძველესი უბნის ისან-ავლაბრის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მეტეხის ტაძრით იწყება და საცხოვრებელი სახლებისა და სასტუმროების რიგით გრძელდება.
3. ეს სეგმენტი ძველი თბილისის განვითარების ადრეულ ეტაპზე ჩამოყალიბებული დომინანტია. მტკვრის მარცხენა კლდოვან ნაპირს მეტეხის ეკლესიითა და საცხოვრებელი შენობებით თავიდანვე უდიდესი დატვირთვა ჰქონდა ქალაქისათვის. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და კვლავაც ინარჩუნებს მტკვარი. XII საუკუნეში უკვე არსებობს ძველი თბილისის სილუეტის ორი "დასაყრდენი", ორი განმსაზღვრელი დომინანტი: კალა და მეტეხი. ქალაქის უბნები მარცხენა ნაპირზე – ისანშიც – შენდება და მტკვარი ახლა უკვე ქალაქის ნამდვილ ცენტრალურ არტერიად, მისი ხუროთმოძღვრული კომპოზიციის უმთავრეს ღერძად იქცევა (ვ. ბერიძე).
4. მტკვარზე ორიენტირებული განაშენიანება დღესაც ინარჩუნებს "ქალაქის ფასადის" მნიშვნელობას, საიდანაც მისი სახე ყველაზე უფრო დამახასიათებლად ჩანს. მიუხედავად მთელი რიგი ცვლილებებისა, მას მაინც შენარჩუნებული აქვს გასულ საუკუნეებში ჩამოყალიბებული ურბანულ-არქიტექტურული სახე და ახალ ვითარებაში დიდ პასუხისმგებლობასა და ფრთხილ დამოკიდებულებას ითხოვს.

5. თუკი ეს სანაპირო ზოლი თითქმის უკანასკნელ ათწლეულებამდე საცხოვრებელი რაიონი იყო, ბოლო დროს ნათლად გამოიკვეთა მოთხოვნილება აქ სასტუმროების და რესტორნების მომრავლებისა – ძველი შენობების გადაკეთების თუ ახალ შენობათა აგების ხარჯზე. ამგვარად, ცხადად ჩანს ამ უბნის ფუნქციური ცვალებადობის ტენდენცია, სადაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თანამედროვე სასტუმროები - აქაურობისთვის ახალი არქიტექტურული "თემატიკა".
6. ამ პროცესში არსებით მნიშვნელობას იძენს ახალი შინაარსისათვის საჭირო ფორმების შეგუება ტრადიციულ ფორმებთან და არსებულ ლანდშადტთან. დღეს კი სავსებით აშკარაა ქალაქის განვითარების არც თუ სახარბიელო მიმართულება - არქიტექტურის "გათამანედროვეობის" მცდელობაში ჩანს შენობების ფსევდო, "ძველთბილისური" ელემენტებით მექანიკურად "გამდიდრების" სურვილი.
7. ერთ-ერთი მათგანია სასტუმრო "ძველი თბილისი". იგი აგებულია ციცაბო კლდის პირზე, ხელოვნურ შემაღლებაზე. არქიტექტურული თვალსაზრისით მან, გარკვეულად, დომინანტური ადგილი მოიპოვა მიმდებარე განაშენიანებაში: მისი მდებარეობა, შეფერილობა და სიდიდე მას შორიდანაც ადვილად აღსაქმელი აქცენტის მნიშვნელობას სძენს. პირით მარჯვენა სანაპიროსკენ, თბილისის უძველესი უბნებისკენ – კალასა და ხარფუხისკენ - არის მოპყრობილი. ის კარგად იკითხება ნარიყალადან და სხვა მოპირდაპირე ადგილებიდან.
8. დღეს აქ ძნელია საუბარი ერთიან ხუროთმოძღვრულ ანსამბლზე. ამ ზოლის განაშენიანების არქიტექტურული ხასიათი იმთავითვე მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ლანდშაფტი – მდინარის თავზე გაჭიმული კლდის ზოლი ბუნებრივად ქმნიდა საყრდენს მხატვრულ-არქიტექტურული იდეისათვის. ამ შემთხვევაშიც სწორედ ლანდშაფტის თავისებურება უნდა იყოს ამოსავალი.
9. შემოსული წინადადების - სასტუმროს წინ არსებული ხელოვნური ბაქნის დაახლოებით 120 სმ-ით შემაღლების და მის ქვეშ საკონფერენციო სივრცის მოწყობის თხოვნის დაკმაყოფილება

დასაშვებია, თუ გათვალისწინებული იქნება სასტუმროს კომპლექსის მასალითა და ფერით გამთლიანების პრინციპი. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე წარმოდგენილ პროექტში დაცული უნდა იყოს ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები. აქ მნიშვნელოვანია სხვა ასპექტებიც: ნაგებობის განთავსებითი და სივრცითი კონტექსტი, ხელოვნური ბაქნისთვის მოსაძებნია მისაღები მასშტაბი. სუბსტრუქციისათვის სიმაღლის მომატება არ შეცვლის ნაგებობის სახეს.

10. ბაქნის მოსაპირკეთებლად უმჯობესია გამოყენებულ იქნას ამ განაშენიანებისათვის უფრო ორგანული მასალა - "თბილი" შეფერილობის ქვიშაქვა, რომელიც, მაგალითად, იქვე არსებული გვირაბის შესასვლელის საპირედაა გამოყენებული. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა მოიტანს მეტ არქიტექტურულ მთლიანობას, კორექტულობას, ვიდრე ახლა არსებული ნაცრისფერი ფიქალი – სავსებით არაორგანული თბილისის არქიტექტურისათვის.
11. ამასთან, მხატვრულად მომგებიანია ხელოვნური სუბსტრუქციის მკაფიო წახნაგოვანების შერბილება, მისი ყველა გარე კონტურისათვის თავისუფალი მოხაზულობის მიცემა და მისი კლდის ბუნებრივად ტეხილ და დენად კონტურებთან მისადაგება. ასეთი ცვლილებები ხელს შეუწყობდა ამ ნაგებობის აღნიშნულ ფერდზე შეფენილი განაშენიანების ორგანულ ნაწილად ქცევას.
12. რაც შეეხება ბაქნის ღიობებს, უმჯობესია შეიქმნას ლენტისებრი ჰორიზონტალური ღიობები, რომელთა მინების შებურვა მოპირკეთებასთან ახლოს მდგომი ფერით, შეიძლება მისაღები აღმოჩნდეს.
13. თავად შენობის ზედა სართულების ფერის მკვეთრი აქტიურობა აუცილებლად ჩასაცხრობია. არანაკლებ მყვირალაა პირველი სართულის მოშინდისფრო წითელიც. შესაძლებელია ამ ორი ფერის განეიტრალება და გამთლიანება. შესაბამისად, ორივე ნაწილში, თეთრშიც და წითელშიც, შესატანია გამაერთიანებელი ფერი (შესაძლოა "მოოქროსფრო ოქრა"), რაც ორ ნაწილსაც გაამთლიანებს და ზედმეტ ვიზუალურ თვალშისაცემობა-

სიჭრელესაც შეარბილებს. სართულების მკაფიო ფერებით დანაწევრება უხეშად თვალისმომჭრელია საკმაოდ დაშორებული აღქმის წერტილებიდანაც კი.

14. ჩვენი შემდგომი რაკომენდაციაა შენობის გადაკეთების პროცესი თბილისური არქიტექტურისთვის უფრო ორგანული ცვლილებებისთვის იქნას გამოყებებული - ქვედა, წითელი აგურით მოპირკეთებული სართულის უსისტემოდ "გაფანტული" ფანჯრები სჯობს შეიცვალოს ახლით და უფრო რეგულარულად განაწილდეს ფასადზე.
15. პროექტირებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ სასტუმროცა და მის წინ მოწყობილი ხელოვნური ბაქანიც ყველაზე სრულად დაშორებული მანძილიდან - მტკვრის მეორე ნაპირიდან აღიქმება, ამდენად მათი ზოგადი კონტურები, ერთიანი პროპორციები და შეფერილობა გაცილებით მეტ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ცალკეული, მომცრო დეტალები – განსაკუთრებულ დატვირთვას კი თავის თავზე კარ-ფანჯარის ღიობები იღებს.

ხელოვნებათმცოდნე
მარინე ხატიაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

№ 0/14/10/46 "13" 02 2015წ.

ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის №19-ში მცხოვრებ მოქალაქე

ბატონ თამაზ გოცირიძეს

ბატონო თამაზ,

თქვენს 2015 წლის 23 იანვრის №0/34 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის, 2007 წლის 1 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების საფუძველზე, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის ქ. №25-ში მდებარე შენობა-ნაგებობას (ს.კ 01.17.01.122.006).

რაც შეეხება თქვენს წერილში მითითებულ შენობა-ნაგებობას (ს.კ 01.17.01.122.008) იგი არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის
მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი

0105. ქ.თბილისი. თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. 2 932 411, 2 932 394; ფაქსი (+995 32) 2 932 394
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Georgia. Fax (+995 32) 2 932 394, Phone 2 932 411, 2 932 394
www.heritagesites.ge

I სართულის გეგმის

ფრაგმენტი (არს.შენობა №25)

მ 1:100



II სართულის გეგმის

ფრაგმენტი (არს.შენობა №25)

მ 1:100



სასტუმროს არსებული ტერასა

სახურავის გეგმის

ფრაგმენტი (არს.შენობა №25)

მ 1:100



ქ. თბილისში, ქ. წამებულის გამზირზე, არსებული №25 შენობის ნაწილობრივი რეკონსტრუქციის პროექტი			შპს ,,სივრცე"			2015 წ.
			ფურც. №	რაოდენ.	მასშტ.	დაკვ. №
დირექტორი	თ. გოცირიძე		ა-		1:100	
არ.მთ.არქიტექტ.	ვ. სიმონია		არსებული გეგმები			
არქიტექტორი	ვ. სიმონია					

I ևևահշտ ձշձահև

ջՍՍՆՀՄՁՁԱՐՄ ՀՈՇՁՆՁՁՆՀՄ ՀՍՆՁՆՁՁՆՀՄ

1:100 ձ



II ևևահշտ ձշձահև

ջՍՍՆՀՄՁՁԱՐՄ ՀՈՇՁՆՁՁՆՀՄ ՀՍՆՁՆՁՁՆՀՄ

1:100 ձ



ՀՈՇՁՆՁՁՆՀՄ ՀՍՆՁՆՁՁՆՀՄ ՀՈՇՁՆՁՁՆՀՄ



ՀՈՇՁՆՁՁՆՀՄ ՀՍՆՁՆՁՁՆՀՄ ՀՈՇՁՆՁՁՆՀՄ ՀՍՆՁՆՁՁՆՀՄ ՀՈՇՁՆՁՁՆՀՄ ՀՍՆՁՆՁՁՆՀՄ

ՀՈՇՁՆՁՁՆՀՄ ՀՍՆՁՆՁՁՆՀՄ ՀՈՇՁՆՁՁՆՀՄ ՀՍՆՁՆՁՁՆՀՄ ՀՈՇՁՆՁՁՆՀՄ ՀՍՆՁՆՁՁՆՀՄ



ՀՈՇՁՆՁՁՆՀՄ ՀՍՆՁՆՁՁՆՀՄ

არსებული შენობის
ფრაგმენტის ჭრილი 1-1
მ 1:100



არსებული შენობის
რეკონსტრუქცია, ჭრილი 1-1
მ 1:100



პირობითი აღნიშვნები

არსებული კედლები და ტიხრები

არსებული კედლების ნგრევა

ახალი კედლების მონტაჟი

ქ. თბილისში, ქ. წამებულის გამზირზე, არსებული №25 შენობის ნაწილობრივი რეკონსტრუქციის პროექტი			შპს ,,სივრცე"			2015 წ.
			ფურც. №	რაოდენ.	მასშტ.	დაკვ. №
დირექტორი	თ. გოცირიძე		ა-		1:100	
პრ.მთ.არქიტექტ.	ვ. სიმონია		არსებული და რეკონსტრუქციის ჭრილი 1-1			
არქიტექტორი	ვ. სიმონია					

ფასადი 1 (არსებული შენობა)

მ 1:100



ფასადი 2 (არსებული შენობა)

მ 1:100



ფასადი 3 (არსებული შენობა)

მ 1:100



ქ. თბილისში, ქ. წამებულის გამზირზე, არსებული №25 შენობის ნაწილოპბრივი რეკონსტრუქციის პროექტი			შპს „სივრცე"			2015 წ.
			ფურც. №	რაოდენ.	მასშტ.	დაკვ. №
დირექტორი	თ. გოცირიძე		ა-		1:100	
პრ.მთ.არქიტექტ.	ვ. სიმონია		არსებული ფასადები			
არქიტექტორი	ვ. სიმონია					



ფასადი 1 (რეკონსტრუქცია)

მ 1:100



ფასადი 2 (რეკონსტრუქცია)

მ 1:100



ფასადი 3 (რეკონსტრუქცია)

მ 1:100

პირობითი აღნიშვნები



არსებული კედლები



ღიობების შევსება

ქ. თბილისში, ქ. წამებულის გამზირზე, არსებული №25 შენობის ნაწილოპბრივი რეკონსტრუქციის პროექტი			შპს „სივრცე"			2015 წ.
			ფურც. №	რაოდენ.	მასშტ.	დაკვ. №
დირექტორი	თ. გოცირიძე		ა-		1:100	
პრ.მთ.არქიტექტ.	ვ. სიმონია		საპროექტო ფასადები			
არქიტექტორი	ვ. სიმონია					